

შპს მაიტონა ჯორჯია ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. დაწესებულების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	9
5. სავაჭრო მოთხოვნები	9
6. გადახდილი ავანსები	9
7. ძირითადი საშუალებები	10
8. საწესდებო კაპიტალი	11
9. შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	11
10. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება.....	11
11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11
12. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	12
13. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	12
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	13

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-2023	31-12-2022
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4	228,742	111,959
სავაჭრო მოთხოვნები	5	1,453,635	93,451
გადახდილი ავანსები	6	47,387	70,128
საგადასახადო აქტივი		-	6,876
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,729,764	282,414
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	76,909	44,169
სულ გრძელვადიანი აქტივები		76,909	44,169
სულ აქტივები		1,806,673	326,583
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		17,290	13,844
საგადასახადო ვალდებულებები		462	-
სულ ვალდებულებები		17,752	13,844
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		1,788,821	312,739
საწესდებო კაპიტალი	8	100	-
სულ საკუთარი კაპიტალი		1,788,921	312,739
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,806,673	326,583

დირექტორი



ანნა პოპოვა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-2023	31-12-2022
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4	228,742	111,959
სავაჭრო მოთხოვნები	5	1,453,635	93,451
გადახდილი ავანსები	6	47,387	70,128
საგადასახადო აქტივი		-	6,876
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,729,764	282,414
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	76,909	44,169
სულ გრძელვადიანი აქტივები		76,909	44,169
სულ აქტივები		1,806,673	326,583
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		17,290	13,844
საგადასახადო ვალდებულებები		462	-
სულ ვალდებულებები		17,752	13,844
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		1,788,821	312,739
საწესდებო კაპიტალი	8	100	-
სულ საკუთარი კაპიტალი		1,788,921	312,739
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,806,673	326,583

დირექტორი

ანნა პოპოვა

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	09-06-2022 - 31-12-2022
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	9	8,474,069	3,368,114
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	10	(5,971,646)	(2,679,633)
საერთო მოგება		2,502,423	688,481
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(500,644)	(202,238)
ხელფასები და სხვა სარგებელი	12	(499,408)	(115,006)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	7	(16,963)	(1,703)
მოგება საკუროსო სხვაობამდე		1,485,408	369,534
ზარალი საკუროსო სხვაობიდან		(9,326)	(56,144)
მოგება დაბეგვრამდე		1,476,082	313,390
მოგების გადასახადი		-	(651)
წმინდა მოგება		1,476,082	312,739

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 09 ივნისი	-	-	-	-
წმინდა მოგება	-	-	312,739	312,739
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	312,739	312,739
საწესდებო კაპიტალის ზრდა	8	100	-	100
წმინდა მოგება	-	-	1,476,082	1,476,082
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	-	100	1,788,821	1,788,921

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მაიტონა ჯორჯია რეგისტრირებულია 2022 წლის 9 ივნისს შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N34, სართული 7. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 405540204. შპს მაიტონა ჯორჯია წარმოადგენს სინგაპურში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მაიტონა პტე“-ს შვილობილ კომპანიას.

დაწესებულების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ვიდეო თამაშების დეველოპმენტი. დაწესებულების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირია ანნა პოპოვა (75 3653026, რუსეთის ფედერაცია).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ დაწესებულება განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. დაწესებულების მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება დაწესებულების ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. დაწესებულების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

დაწესებულება ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე. მის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844

3.2 ძირითადი საშუალებები

დაწესებულება ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასახვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს დაწესებულებაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო

ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.4 შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. შემოსავალი არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.5 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.6 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

დაწესებულება ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს ოფისის, კომუნალურ, იჯარის და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა დაწესებულების მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. ასევე ყოველდღიური საქმიანობისთვის კომპანიას პერიოდულად აქვს ფული სალაროში.

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-2023	31-12-2022
ფული სალაროში	24	8
ფული საბანკო ანგარიშებზე	228,718	111,951
სულ	228,742	111,959

5. სავაჭრო მოთხოვნები

2023 წლის ბოლოს, ისევე როგორც 2022 წლის ბოლოს, დაწესებულებას ჰყავდა მხოლოდ 1 დებიტორი - დაკავშირებული კომპანია, რომელსაც დაწესებულება უწევდა ვიდეო თამაშების დეველოპმენტის მომსახურებას და რომლის დავალიანება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 1,453,635 ლარს, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 93,451 ლარს.

6. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები შედგება სხვადასხვა მომსახურებისა და შესასრულებელი სამუშაოებისთვის მომწოდებლებისთვის და ასევე თანამშრომლებისთვის გადახდილი ავანსებისგან. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილი ავანსების საბალანსო ნაშთი შეადგენდა 47,387 ლარს, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 70,128 ლარს.

7. ძირითადი საშუალებები

2023 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	გასვლა	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა	45,872	44,128	519	89,481
ავეჯი და სხვა ინვენტარი	-	6,094	-	6,094
სულ	45,872	50,222	519	95,575

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	გასვლა	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა	1,703	15,942	-	17,645
ავეჯი და სხვა ინვენტარი	-	1,021	-	1,021
სულ	1,703	16,963	-	18,666

09.06.2022-31.12.2022 პერიოდისთვის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 9 ივნისი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა	-	45,872	45,872
სულ	-	45,872	45,872

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 9 ივნისი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა	-	1,703	1,703
სულ	-	1,703	1,703

8. საწესდებო კაპიტალი

2023 წელს დამფუძნებელმა განახორციელა საწესდებო კაპიტალში 100 ლარის შეტანა.

9. შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან

დაწესებულების შემოსავლის წყაროს წარმოადგენს დაკავშირებული კომპანიისთვის ვიდეო თამაშების დეველოპმენტის მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლები. აღნიშნული მომსახურებიდან 2023 წელს კომპანიის მიერ მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 8,474,069 ლარი, ხოლო 09.06.2022-31.12.2022 პერიოდში - 3,368,114 ლარი.

10. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება

რეალიზებული მომსახურების თვითღირებულებაში ასახულია დაწესებულების მიერ პროექტების ფარგლებში დაქირავებული თანამშრომლებისთვის გადახდილი ხელფასები და სხვა სარგებელი და ასევე პროექტის ფარგლებში სხვადასხვა მომწოდებლებისგან შეძენილი მომსახურების ხარჯები:

რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	2023	09.06.2022-31.12.2022
პირდაპირი ხელფასები და სხვა სარგებელი	(5,957,759)	(2,679,633)
მომსახურების მომწოდებლების დანახარჯი	(13,887)	-
სულ	(5,971,646)	(2,679,633)

11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, ოფისის, საკონსულტაციო და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2023	09.06.2022- 31.12.2022
იჯარის ხარჯი	113,456	62,440
საკონსულტაციო და საბუღალტრო ხარჯი	120,457	27,563
ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯი	80,620	22,080
საკომუნიკაციო და კომუნალური ხარჯები	74,941	3,326
მივლინების ხარჯი	39,984	21,367
ოფისის ხარჯი	8,817	19,391
პროგრამების გამოწერის/ლიცენზიების ხარჯი	11,492	19,178
IT-ის მომსახურების ხარჯი	34,158	8,152
საბანკო ხარჯი	8,980	5,843
სხვა ხარჯი	7,739	12,898
სულ	500,644	202,238

12. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ხარჯი მოიცავს ყველა სახის ადმინისტრაციულ (არაპირდაპირ) ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, რამაც 2023 წლისთვის შეადგინა 499,408 ლარი, ხოლო 09.06.2022-31.12.2022 პერიოდისთვის - 115,006 ლარი.

13. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

13.1 სავაჭრო მოთხოვნები

2023 და 2022 წლებში დაწესებულება დაკავშირებულ კომპანიას უწევდა ვიდეო თამაშების დეველოპმენტის მომსახურებას. აღნიშნულის ფარგლებში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებული კომპანიის მიმართ სავაჭრო მოთხოვნამ შეადგინა 1,453,635 ლარი, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 93,451 ლარი.

13.2 შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან

დაკავშირებული კომპანიისთვის ვიდეო თამაშების დეველოპმენტის მომსახურების გაწევის შედეგად მიღებულმა შემოსავლმა 2023 წელს შეადგინა 8,474,069 ლარი, ხოლო 09.06.2022-31.12.2022 პერიოდში - 3,368,114 ლარი.

13.3 მენეჯმენტის კომპენსაცია

2023 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 131,959 ლარი, ხოლო 09.06.2022-31.12.2022 პერიოდში - 84,065 ლარი.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.